საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მზარეულაშვილი ფარნაოზ ვლადიმერის ძე

მზარეულაშვილი ფარნაოზ ვლადიმერის ძე (23. IV. 1924, გორი, –), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1952). იყო ი. *ნიკოლაძის* მოწაფე. 1952-იდან მონაწილეობას ღებულობდა სამხატვრო გამოფენებში. ნამუშევრები: შველი (ბრინჯაო, 1950, კერძო კუთვნილება), ი. ნიკოლაძის პორტრეტი (მარმარილო, 1954, ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეა, რფ); შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), ა. ჯაფარიძის პორტრეტი (მარმარილო, 1956), ვ. იაშვილის პორტრეტი (ქვა, 1960, ორივე დ. შევარდნაძის სახ. სახელმწ. ეროვნ. გალერეა, რფ), „ნანა“ (ტერაკოტა-მარმარილო, 1956, ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეა, რფ), მ. იაშვილის პორტრეტი (ქვა. 1958, თბილ. სახელმწ. კონსერვატორია), შ. დადიანი (ბარელიეფი, ბრინჯაო, 1965, საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტ-რის მუზეუმი), ვ. ლენინი (ნაჭედი სპილენძი, ქ. ადლერი, რფ., 1973) და სხვ.